საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

„თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“

„თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა“ (სააქციო საზოგადოება), კვების მრეწველობის საწარმო. აშენდა 1940 როგორც თბილისის ჩაის გადამწონი ფ-კა. აფასოებდა შავ და მწვანე ბაიხაოს ჩაის. მისი საპროექტო სიმძლავრე წელიწადში შეადგენდა 5 ათ. ტ დაფასოებულ ჩაის. 1954–55 ჩატარდა ფ-კის ტექ. გადაიარაღება და საწარმოს სიმძლავრემ 10 ათ. ტ დაფასოებული ჩაი შეადგინა, ხოლო 1983–89, რეკონსტრუქციის შემდეგ, მისი სიმძლავრე წელიწადში 21 ათ. ტ-მდე გაიზარდა. ძირითადი პროდუქცია იყო სხვადასხვა ხარისხის ბაიხაოს ჩაი: „საქართველოს თაიგული", უმაღლესი ხარისხის, I, II და III ხარისხისა და სხვ. სანედლეულო რესურსებს იღებდა საქართვ. სხვადასხვა ჩაის პირველადი გადამმუშავებელი ფ-კიდან, აგრეთვე ინდოეთიდან და ჩინეთიდან (როგორც საკუპაჟე მასალას). გამოშვებული პროდუქცია იგზავნებოდა სსრკ-ის რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყანაში.

1990-იდან საწარმოს ჩაის მიწოდება შეუწყდა როგორც შიდა ქსელიდან, ისე უცხოეთიდან. 1993-იდან ფ-კა გასაღების ბაზრის დაკარგვის გამო მუშაობდა 10%-იანი დატვირთვით და წელიწადში უშვებდა 2000 ტ დაფასოებულ ჩაის, რ-იც გადიოდა ძირითადად დსთ-ის ქვეყნებში. 1996 თბილისის ჩაის საწონი ფ-კის ბაზაზე შეიქმნა სააქციო საზ-ბა „თ. ჩ. ს. ფ." ამ პერიოდიდან საწარმო თავისი პროფილით აღარ ფუნქციონირებს.